



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
 ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
 MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS FROM THE OCCUPIED
 TERRITORIES, LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური
 LEPL LABOUR INSPECTION OFFICE



KA030402730873421

საქართველო, თბილისი 0186, მიხეილ თამარაშვილის ქ. 15ა; ცხელი ხაზი 1505; ელ.ფოსტა: infolio@moh.gov.ge
 Mikheil Tamarashvili str 15a, 0186 Tbilisi, Georgia; Hot line 1505; E-mail: infolio@moh.gov.ge

№ 87

21 / ოქტომბერი / 2021 წ.

შპს „ნალკა 91“-ის წარმომადგენელს
 მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N 24 გ.

დადგენილება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ

საჩივრის ავტორი - შპს „ნალკა 91“-ის წარმომადგენელი როინ მიგრიაული;

მოთხოვნის არსი - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გაუქმება;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში 2021 წლის 01 თებერვალს შპს „ნალკა 91“-ის წარმომადგენელის როინ მიგრიაულის მიერ წარმოდგინილ იქნა № 6942 საჩივარი. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის 2020 წლის 11 დეკემბრის №001507 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გაუქმების მოთხოვნით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბრის № 01-119/ნ ბრძანების მე-2 პუნქტის თანახმად, სსიპ – შრომის ინსპექციის სამსახური განისაზღვრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ, აღნიშნული ბრძანების მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბრის № 01-119/ნ ბრძანების მე-2 პუნქტი ამოქმედდა 2021 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პირველი მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს. ამავე კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელშეწყობის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახვი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა“.

ამავე კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, „არავის არ შეიძლება შეეფარდოს გემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს აწარმოებენ კანონიერების მკაცრი დაცვის საფუძველზე, საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები და თანამდებობის პირნი ადმინისტრაციული გემოქმედების ზომებს შეუფარდებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით“.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹⁰ მუხლის თანახმად, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საკითხებთან

დაკავშირებით დადგენილი იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევა გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2 000 ლარით, ხოლო იურიდიული პირისა – 10 000 ლარით.“

2021 წლის 07 სექტემბერს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“, რომლის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ადმინისტრაციული სახდელისგან ჯარიმისგან თავისუფლდება ის პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹⁰ ან 42¹¹ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

ამავე კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული სახდელისგან – ჯარიმისგან გათავისუფლება ვრცელდება იმ პირზე, რომელმაც ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა 2021 წლის 23 ივნისამდე ჩაიდინა.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის - შპს „ნალკა 91“-ის მიერ 2021 წლის 10 დეკემბერს დარღვეულ იქნა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹⁰ მუხლი, რის გამოც შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და სახდელის სახით გამოყენებულ იქნა ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების გამომრიცხავ გარემოებებს, რომლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე უნდა შეწყდეს თუ მიღებული ამნისტიის აქტი აუქმებს ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებას.

ამავე კოდექსის 267-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის შემდეგ ორგანოს (თანამდებობის პირს) გამოაქვს დადგენილება საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ადმინისტრაციულმა ორგანომ

და ა დ გ ი ნ ა:

1. შეწყდეს შპს „ნალკა 91“-ის წარმომადგენლის როინ მიგრიალის მიერ 2021 წლის 01 თებერვალს წარმოდგენილი №6942 საჩივარის საფუძველზე დაწყებული წარმოება.
2. დადგენილების ასლები გადაეგზავნოთ დაინტერესებულ მხარეს.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მთავარი
შრომის ინსპექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად



ბექა ფერაძე